

უნდა მიეცეთ თუ არა ეთნიკურ ჯგუფებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება?

ნიკა კრაწაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

2017 წელს კატალონიაში ჩატარებული რეფერენდუმი და მასთან დაკავშირებული მოვლენები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. 2018 წლის 14 მაისს კი კატალონიის პრეზიდენტად კიმ ტორა აირჩიეს, რომელიც ცალსახად ესპანეთისგან გამოყოფისა და სრული დამოუკიდებლობის მომხრეა.¹ უკვე 15 მაისს მადრიდთან დიალოგის დაწყების მოთხოვნისას, მან განაცხადა, რომ ახალი „მთავრობის უპირველესი მიზანი კატალონიის თვითმმართველობის შეზღუდვისათვის წერტილის დასმა“ იქნებოდა.² ფაქტია, არა მარტო კატალონიელები, არამედ ბევრი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები მიისწრაფვიან უფლებების გაზრდისა და/ან დამოუკიდებლობისაკენ. მიმდინარე მოვლენების ფონზე აქტუალობას არ კარგავს საკითხი: უნდა მიეცეთ თუ არა ეთნიკურ ჯგუფებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება? საერთაშორისო საზოგადოებას საგნის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებები აქვს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ, დიახ, უნდა მიეცეთ, მაგანნი კი არ ეთანხმებიან ამ შეხედულებას. მე ამ უკანასკნელთა აზრს ვიზიარებ და ვფიქრობ, რომ რომელიმე ეთნიკური ჯგუფისთვის ამ უფლების მინიჭება არასასურველია, ვინაიდან ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვა მსოფლიოს კეთილდღეობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. თუმცა, არსებობს ერთი გამონაკლისი, რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებ. ჩემი პოზიცია კი ვეცდები, არგუმენტებით გავამყარო.

პირველი, რის გამოც ეთნიკური ჯგუფებისთვის სუვერენული სახელმწიფოს შექმნის უფლების მინიჭება მიზანშეუწონლად მიმაჩნია, საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი, აწ უკვე ხსენებული - ტერიტორიული მთლიანობის პრინციპია, რომელიც საზღვრების ცვლილებების უფულებელყოფასა და სეპარატისტული მოძრაობების

¹ Quim Torra becomes 131st Catalan president. May 14, 2018. <http://www.catalannews.com/news/item/quim-torra-becomes-131st-catalan-president>

² Petzinger, Jill. Drawing swords with Spain, Catalonia's new president vows to put Carles Puigdemont back in power. May 15, 2018. <https://qz.com/1278488/latest-news-on-catalonia-new-president-quim-torra-vows-to-put-carles-puigdemont-back-in-power>

შეჩერებას გულისხმობს.³ ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ეთნიკურ ჯგუფს აერთიანებს სახელმწიფო, იგი ერთი, ისტორიულად ჩამოყალიბებული, მდგრადი ერთობაა, რომელსაც ორგანიზებული ქსელი გააჩნია და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილი აქვს დამკვიდრებული. სახელმწიფო, ისევე როგორც ორგანიზმი, არ შეიძლება დანაწევრდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მის ნაწილებს განცალკევებით ყოფნა სწადიათ. ხოლო, ვინც ამტკიცებს, რომ ეთნიკურ ჯგუფებს ზოგიერთ შემთხვევაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება უნდა მიეცეთ, საერთაშორისო სამართლის მეორე - ერთა თვითგამორკვევის პრინციპს ეყრდნობა. თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად, ერებს აქვთ უფლება, თავად განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური სტატუსი,⁴ თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დედამიწაზე 4 ათასამდე ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს.⁵ რა იქნებოდა, ყველა მათგანს რომ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა მოეთხოვა? შეძლებდა არსებული საერთაშორისო პოლიტიკური, გნებავთ, ეკონომიკური სისტემა ამგვარ მისწრაფებასთან შეგუებას, ან ამ უტოპიური იდეის განხორციელების შემთხვევაშიც კი რამდენად მდგრადი იქნებოდა ახალი მსოფლიო სისტემა? გარდა ამისა, ბუნებრივია, როდესაც გარკვეული ჯგუფის შემთხვევაში გამონაკლისი დაიშვება, მეორეს უჩნდება განცდა, რომ თავადაც შეუძლია ეს უფლება მიიღოს. ხოლო თუ ყველა ეთნიკური ჯგუფი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მოითხოვს და ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის დროს ომსა და ძალადობას მიმართავს, მსოფლიო წვრილ ელემენტებად დაშლისა და კონფლიქტების მორევში გადაშვების რისკის ქვეშ დადგება. ამიტომაც ვიმეორებ, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვა საყოველთაო სტაბილურობისა და მშვიდობისათვის კოლოსალური მნიშვნელობის მატარებელია.

ალბათ, მთავარი კონტრარგუმენტი, რომელსაც ამ შეხედულების წინააღმდეგ მოიყვანდნენ, კოსოვოს შემთხვევაა. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში, სერბეთმა უმეტესად ალბანელებით დასახლებული კოსოვოს სეპარატისტულ გამოძახილს სასტიკი სადამსჯელო ზომებით უპასუხა. ამ ყოველივეს დასრულება მხოლოდ 1999 წელს ნატოს სამხედრო ინტერვენციით მოხერხდა. ამით დამაბული ურთიერთობა სერბებსა და ადგილობრივ ალბანელებს შორის უკეთესობისკენ მაინც ვერ შემობრუნდა, ამიტომ 2008 წლის თებერვალში კოსოვომ სერბეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა.⁶ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „სხვა სახელმწიფოების მიერ დიპლომატიური ცნობა და აღიარება აუცილებელი პირობაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რათა იგი გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.“⁷ დღესდღეობით კოსოვო მსოფლიოს 114

³ Self Determination and the Territorial Integrity. November, 2013. <https://www.lawteacher.net/free-law-essays/international-law/self-determination-and-the-territorial-integrity-international-law-essay.php>

⁴ Ibid.

⁵ სალუქვაძე, იოსებ. „საზოგადოებრივი გეოგრაფიის საფუძვლები.“ სახელმძღვანელო/კონსპექტი. თბილისი. 2008. გვ. 45.

⁶ Kosovo profile. January 16, 2018. <https://www.bbc.com/news/world-europe-18328859>

⁷ დავითაშვილი, ზურაბ. „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.“ „მეცნიერება“, თბილისი 2003. გვ. 23-24.

სახელმწიფოს მიერაა აღიარებული.⁸ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, სავსებით სამართლიანი იქნება, თუ ამ ქვეყნების რიცხვს სხვებიც შეუერთდებიან. შესაძლოა, ამ საკითხსა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან მიმართებით ჩემი პოზიციები, ერთი შეხედვით, ერთგვარ დისონანსად იქნეს აღქმული, მაგრამ ეს სრულებითაც არ იქნება სიმართლესთან შესაბამისი. საქმე ისაა, რომ კოსოვოს შემთხვევა მკაცრად განსაზღვრული შემთხვევაა, როდესაც მოცემულმა ქვეყანამ მის შიგნით მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის თვითმყოფადობასა და უსაფრთხოებას შეუქმნა საფრთხე. თუმცა, ამგვარი ტიპი გამონაკლისია და მხოლოდ ასეთი განსაკუთრებული გარემოების, დიდი საშიშროების, ფიზიკური განადგურების საფრთხის არსებობის დროსაა, ჩემი აზრით, ეთნიკური ჯგუფისთვის ცალკე სახელმწიფოს შექმნის უფლების მინიჭება დასაშვები.

რაც შეეხება კატალონიას, რომლის საკითხიც, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, მეტად აქტუალურია, უნდა ითქვას, რომ აქ კარდინალურად განსხვავებული მდგომარეობაა. კატალონიის სეპარატისტულად განწყობილმა მთავრობამ 2017 წლის 1 ოქტომბერს ავტონომიის დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი ჩაატარა. მასში კატალონიის 5.3 მილიონი ამომრჩევლისგან მონაწილეობა დაახლოებით 43 პროცენტმა მიიღო.⁹ კითხვაზე, "გსურთ თუ არა, რომ კატალონია გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო რესპუბლიკური მმართველობის ფორმით?", მონაწილეთა 90 პროცენტზე მეტმა დადებითი პასუხი დააფიქსირა. ესპანეთის მთავრობის მხრიდან რეფერენდუმს მწვავე რეაქცია მოჰყვა. ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, ესპანეთი განუყოფელია და ამასთანავე, რეფერენდუმის შედეგი სავალდებულო ხასიათის მქონე მხოლოდ მაშინაა, თუ მასში მონაწილეობას მთელი ქვეყნის მოსახლეობა იღებს. უნდა აღინიშნოს, რომ კატალონია ჯერ ერთი, ფართო ავტონომიით სარგებლობს და მეორეც, მისი მოთხოვნა ესპანეთის მთავრობის მიერ სახელმწიფო ხარჯების შემცირებას ეფუძნებოდა.¹⁰ არსებული ვითარებისა და მოვლენების ანალიზის შედეგად კი აშკარა ხდება, რომ კატალონიელთა ეთნიკური ჯგუფი არ არის იმგვარ კრიტიკულ მდგომარეობაში, რომ აუცილებელი იყოს მისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების მინიჭება. ცალკე საკითხია, რამდენად შეძლებდა იგი პროგრესირებას დამოუკიდებლობის შემთხვევაში და ჩნდება კიდევ კითხვა, ხომ არ იქნებოდა ესპანეთისგან გამოყოფა მისი რეგრესის ქვაკუთხედი?

ჩემი საკვანძო პოზიციის დასადასტურებლად კიდევ ერთი მაგალითი აფხაზეთის სახითაც შეგვიძლია მოვიყვანოთ. იგი ასწლეულების განმავლობაში საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. მიუხედავად იმისა, თუ რომელი ეთნიკური წარმოშობის ჯგუფები სახლობდნენ აფხაზეთში, ამ უკანასკნელსა და ქვეყნის სხვა რეგიონებს შორის

⁸ International recognitions of the Republic of Kosovo. Ministry of Foreign Affairs, Republic of Kosovo. <http://www.mfa-ks.net/?page=2,224>

⁹ Catalonia referendum: 90% voted for independence, say officials – as it happened. October 26, 2017. <https://www.theguardian.com/world/live/2017/oct/01/catalan-independence-referendum-spain-catalonia-vote-live>

¹⁰ Catalonia's bid for independence from Spain explained. January 31, 2018. <https://www.bbc.com/news/world-europe-29478415>

ინტენსიური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობები იყო ჩამოყალიბებული. ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოს პერიოდში ქართველები და აფხაზები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ, ერთი სამეფოს შიგნით. თუმცა, 1992-1993 წლების აფხაზეთის ომმა დაგვანახვა, რომ ეთნიკურ ჯგუფებს ზოგჯერ ხანგრძლივი თანაცხოვრების შემდეგაც შეიძლება გაუჩნდეთ დამოუკიდებლობაზე პრეტენზია, მოინდომონ სეცესია და ამ მიზნის მისაღწევად მიმართონ ყველაზე საშინელ გზებსაც კი, თუნდაც თავადვე მოაწყონ ეთნიკური უმრავლესობის წმენდა. ეს რომ საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აშკარა დარღვევა იყო, ამაზე ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებაში ორი აზრი არ არსებობს. მართალია, აფხაზეთისა და კატალონიის შემთხვევები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, თუმცა საერთო ისაა, რომ ორივე მათგანში მოცემული ეთნიკური ჯგუფი არ იდგა არსებითი საშიშროების წინაშე, მაგრამ სეპარატიზმმა მაინც იჩინა თავი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როდესაც ეთნიკური ჯგუფებისთვის ცალკე სახელმწიფოს შექმნის უფლების მინიჭებაზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი და რომ სახელმწიფო არის მდგრადი ერთობა, რომლის ხელაღებით ჩამოშლაც რეგიონულ სტაბილურობას უქადის საფრთხეს. ამასთანავე, ეთნიკური ჯგუფების სიმრავლე პრაქტიკულად არ იძლევა საშუალებას, რომ ყველას დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქონდეს. მხოლოდ ისეთ მკაცრად განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევაში, როგორშიც კოსოვო იმყოფებოდა, შეიძლება უპირატესად ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ჩაითვალოს, ე.ი. მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფსა და მის ეროვნულ იდენტობას საფრთხე ემუქრება. თუმცა, ზემოხსენებულმა მსჯელობამ ცხადყო, რომ ასეთი ტიპი არავითარ შემთხვევაში არ ერგება კატალონიისა და აფხაზეთის გამოძახილს ცალკეული სახელმწიფოს შექმნის შესახებ და აშკარაა, რომ დაუშვებელია ამ მიზნით სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვა.